საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 206 03. 11 2016 წ. თბილისი

სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს რიგგარეშე №68 სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წესდების (რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 18 იანვრის №542 გადაწყვეტილებით) მე-9 მუხლის 9.2 "თ" ქვეპუნქტის., 9.3 პუნქტისა და 8.5., 8.7., 8.11., 8.14 პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მ/წლის 13 ნოემბერს მოწვეულ იქნას სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს რიგგარეშე №68 სხდომა (დღის წესრიგი თან ერთვის);
2. სხდომა გაიმართოს სპმთპ-ის წყნეთის პედაგოგთა და მეცნიერთა სახლში 12:00 საათზე;
3. დაევალოს სპმთპ-ის საორგანიზაციო დეპარტამენტს (მ. ესებუა) სპმთპ-ის 2016 წლის 13 ნოემბრის აღმასრულებელი საბჭოს რიგგარეშე №68 სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფა;
4. დაევალოს სპმთპ-ის შესაბამის დეპარტამენტებს (იურიდიული დეპარტამენტი - უფროსი გრიგოლ ბაკურაძე, საორგანიზაციო დეპარტამენტი - უფროსი მაია ესებუა, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი – უფროსი მელანია დარახველიძე) მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე დადგენილებათა პროექტების მომზადება;
5. დაევალოს ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს (მ. დარახველიძე) აღმასრულებელი საბჭოს რიგგარეშე №68 სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოყოფა უზრუნველყოს სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული სპმთპ-ის 2016 წლის ბიუჯეტის შესაბამის მუხლიდან (აღმასრულებელი საბჭოს მომზადება-ჩატარება);
6. დაევალოს სპმთპ-ის კანცელარიის უფროსს (ქ. ვადაჭკორია) უზრუნველყოს აღმასრულებელი საბჭოს წევრთა გაფრთხილება და ბრძანებისა და დღის წესრიგის

(თან ერთვის), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, დაინტერესებული პირებისთვის გაცნობა;

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს სპმთპ-ის პრეზიდენტმა მაია კობახიძემ.

პრეზიდენტი მაია კობახიძე